მშენებლობის ორგანიზაციის

პროექტი

ქ. თბილისის მუნიციპალურ საზღვრებში, სოფელ ტაბახმელაში, შ.პ.ს „იორკ თაუნი“-ს საკუთრებაში მყოფ ტერიტორიაზე სასტუმროს ტიპის შენობის (ს/კ 01.81.02.258.006) მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

შ.პ.ს „ზაჰა“ ტექნიკური დირექტორი: ვ. გიგაური

თბილისი 2023 წელი

შპს. „ზაჰა“
ს/კ 405502861
მისამართი: ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის N12
ტელ.: 555051111
E-mail: info@zaha.ge
www.zaha.ge

LTD “ZAHA”
I/D 405502861
Address: 12 ‚M.Aleksidze st. Tbilisi
Mob: 555051111
E-mail: info@zaha.ge
www.zaha.ge

სარჩევი:

1. სამშენებლო მოედნისა და ობიექტის დახასიათება. მშენებლობის პირობები ---------- გვ. 3

2. მშენებლობის ხანგრძლივობის დადგენა ---------- გვ. 5

3. მშენებლობის განხორციელების კალენდარული გეგმა ---------- გვ. 5

4. მშენებლობის საინჟინრო მომზადება და მშენებლობის წარმართვის ცალკეული ეტაპები -- გვ. 6

5. მშენებლობის წარმოების წესები და მეთოდები ---------- გვ. 7

6. ინსტრუმენტარული კონტროლი ---------- გვ. 9

7. მიწის სამუშაოები და საძირკვლები ---------- გვ. 9

8. მითითებები მიწისზედა სამუშაოების წარმოებაზე ---------- გვ. 10

9. რეკომენდირებული სამშენებლო მანქანა-დანადგარები, მექანიზმები და ინსტრუმენტები - გვ. 11

10. მშენებლობაზე შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვა ---------- გვ. 12

11. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები ---------- გვ. 13

12. მოპ-ის შედგენისათვის საჭირო ნორმატიული ბაზა ---------- გვ. 14

1. სამშენებლო მოედნისა და ობიექტის დახასიათება; მშენებლობის პირობები

1.1. ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისის მუნიციპალურ საზღვრებში, სოფელ ტაბახმელაში, ჯამში კომპონიის საკუთრებაშია 60.000 კვ.მ, ხოლო სასტუმრო ტიპის შენობებისთვის მიწის ნაკვეთი წარმოადგენს 470 კვ.მ.

1.2. საკვლევი ნაკვეთი მდებარეობს ქ.თბილისის მახლობლად, სოფელ ტაბახმელას მიმდებარედ. მიწის ნაკვეთს სამხრეთიდან ესაზღვრება მისასვლელი გრუნტის გზა, დანარჩენი სამი მხრიდან კერძო საჯუთრების ნაკვეთების, საპროექტო ტერიტორიის რელიეფი მცირე ქანობიანია, ტოპოგეგმის მიხედვით ნიშნულები 1125,10-1125,30 ფარგლებში მერყეობს.

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნით, უბანი მდგრადია და მშენებლობისთვის დამაკმაყოფილებელი საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში იმყოფება, ხოლო თავისი გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე СНиП 1.02.07-87-ის საკვლევი ტერიტორია განეკუთვნება 8-ბალიან სეისმურ რაიონს, სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A=0,17. ამგები გრუნტები, სეისმური თვისებებიდან გამომდინარე, განეკუთვნებიან II კატეგორიას.

კლიმატი არის ზომიერად კონტინენტური, ჰაერის კარგად გამოხატული ჩრდილო-დასავლეთის და აღმოსავლეთის მოძრაობით. კლიმატი საერთო ჯამში ზომიერია და კარგ პირობებს ქმნის მშენებლობისთვის.

სამშენებლო მოედნის კლიმატური პირობების დასახასიათებლად გამოყენებულია ყველაზე მახლობელი მთაწმინდის ობსერვატორიის მონაცემები.

კლიმატური რაიონები	კლიმატური ქვერაიონები	იანვრის საშუალო ტემპერატურა, °C	ზამთრის 3 თვის ქარის საშუალო სიჩქარე, მ/წ	ივლისის საშუალო ტემპერატურა, °C	ივლისის ფარდობითი ტენიანობა, %
1	2	3	4	5	6
I	Iა	-4-დან –14-მდე	5 და მეტი	+5-დან +12-მდე	75 მეტი
	Iბ	-3-დან –5-მდე	5 და მეტი	+12-დან +21-მდე	75 მეტი
	Iგ	-4-დან –14-მდე	-	+12-დან +21-მდე	-
	Iდ	-5-დან –14-მდე	5 და მეტი	+12-დან +21-მდე	75 მეტი
II	IIა	-14-დან –20-მდე	-	+21-დან +25-მდე	-
	IIბ	-5-დან –2-მდე	-	+21-დან +25-მდე	-
	IIგ	-5-დან –14-მდე	-	+21-დან +25-მდე	-
III	IIIა	-10-დან +2-მდე	-	+28 და მეტი	-
	IIIბ	+2-დან +6-მდე	-	+22-დან +28-მდე	50 და მეტი 13ს
	IIIგ	0-დან +2-მდე	-	+25-დან +28-მდე	-
	IIIდ	-15-დან 0-მდე	-	+25-დან +28-მდე	-

1.3 წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია ითვალისწინებს სასტუმროს ტიპის შენობის მშენებლობას (დასრულებას), შენობა ორსართულიანია მანსარდით, შენობის გაბარიტული ზომებია 13.80X12,50 მ. შენობა კარკასულია რკინა/ბეტონის სვეტებით. შევსება ბეტონის ბლოკით, მზიდი კოლონების ზომა 0.30X0.30 მ-ია. ძირითადად დარჩენილი შიდა სარემონტო სამუშაოები, ფასადის ნაწილზე პანდუსის მოწყობის და ტერიტორიის კეთილმოწყობა.

1.4. ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლებია:

მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ). 470 კვ.მ

განაშენიანების ფართობი (კვ.მ) 485.1 კვ.მ

საერთო ფართობი (კვ.მ). 449.7 კვ.მ

შენობის K2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ): 299.5

შენობის სიმაღლე (მ): 10

შენობის ჩაღრმავება მიწის ზედაპირიდან ქვემოთ (მ): 0.35

შენობის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის მაქსიმალური სიგრძე (მ): 5.7

შენობის საძირკვლის ტიპები: კომბინირებული

შენობას გააჩნია ცოკოლის სართული, ხოლო პირველი სართულის 0,00 ნიშნულის აბსოლიტურ მნიშვნელობა სახვადასხვა ნაგებობისთვის სხვადასხვაა და მოცემულია შესაბამის არქიტექტურულ პროექტში.

1.5. ვიზუალური შესწავლის საფუძელზე სამშენებლო ფრონტი შეზღუდული არ არის სამუშაოთა განხორციელებისთვის და სირთულის მიხედვით ობიექტი მიეკუთვნება საშუალო კატეგორიას.

1.6. შენობა აშენებლული და გადახურულია, დარჩენილია შიდა მოსაპირკეთებელი (სარემონტო სამუშაოები). ფასადის ნაწილზე შშმ პანდუსის მოწყობის სამუშაოები და ტერიტორიის კეთილმოწყობა. სამუშაოს გაშლისა და მშენებლობის წარმოების თვალსაზრისით სამშენებლო ფრონტი შეზღუდული არ არის. მისი განხორცუიელების თვალსაზრისით შენობები საშულო სირთულისაა და გულიოსხმობს სართულიანობის, გეომეტრიული ფორმებისა და გამოსაყენებელი სამშენებლო მასალა-ნაკეთობებით ტრადიციული სამშენებლო პროცესების შესრულებასა და განხორციელებას.

1.7. სატვირთო ტრანსპორტის მოძრაობა უნდა განხორციელდეს ორგანიზაციის პროექტში მითითებული სქემის ნიხედვით.

1.8 მშენებლობის განხორციელებასთან და წარმართვასთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხები, გაანგარიშებები და რეკომენდაციები ჩამოყალიბებული და განმარტებულია მოპ-ის ცალკეულ ნახაზებზე შესაბამის თავებში.

1.9. მშენებლობის მომარაგება მასალებითა და ნაკეთობებით ორიენტირებულია კომპანიის საწყობებიდან და შიგა ბაზარზე არსებული მასალებით.

2. მშენებლობის ხანგრძლივობის დადგენა

2.1. მშენებლობის განხორციელებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმართვისათვის საჭიროა მშენებლობის ხანგრძლივობის განსიზღვრა. დამკვეთთან შეთანხმებით, მოცემული მოპ-ის მიხედვით მშენებლობის ვადად დადგენილია ექვსი თვე. (180 კალენდარული დღე)

2.2. აღნიშნულის საფუძველზე შედგა მშენებლობის განხორციელების ხაზოვანი გრაფიკი.

3. მშენებლობის განხორციელების კალენდარული გეგმა

3.1. მშენებლობის განხორციელების გაგმიური ხანგრძლივობაა 12 თვე. (360 დღე)

- **I თვე, სამშნებლო მოედნის ორგანიზება (მოსამზადებელი სამუშაოების წარმოება: დროებითი ღობის მოწყობა, ბანერის და უსაფრთხოების ნიშნების მონტაჟი)**

- **2 - 7 თვე, შიდა საინჟინრო კომუნიკაციების სამუშაოების დასრულება (გაზი, წყალმომარაგება, ელ.მომარაგება, სუსტი დენები, სახანძრო უსაფრთხოება) შიდა ტიხრების მონტაჟი და მოპირკეთების სამუშაოების დასრულება.**

- **8 - 9 თვე, ფასადებზე შშმ პანდუსის მოწყობა. (მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების შესაბამისად) მეტ. პლასტმასის კარ-ფანჯრების მონტაჟი (ნაწილის დემონტაჟი და მონტაჟი)**

- **9-11 თვე, ტერიტორიის კეთილმოწყობა.**

- **12 - თვე, შენობიდან და ტერიტორიიდან სამშნებლო ნაგვის გატანა.**

- **12 თვე, ბოლო 10 დღე, შენობის გამართვა გაშვების სამუშაოები**

სამუშაოთა წარმოების გრაფიკი

N		I თვე						2 თვე						3 თვე						4 თვე						5 თვე						6 თვე						7 თვე						8 თვე						9 თვე						10 თვე						11 თვე						12 თვე					
	სამუშაოების ჩამონათვალი	5	10	15	20	30		5	10	15	20	30		5	10	15	20	30		5	10	15	20	30		5	10	15	20	30		5	10	15	20	30		5	10	15	20	30		5	10	15	20	30		5	10	15	20	30		5	10	15	20	30		5	10	15	20	30	
1	სამშნებლო მოედნის ორგანიზება (მოსამზადებელი სამუშაოების წარმოება: დროებითი ღობის მოწყობა, ბანერის და უსაფრთხოების ნიშნების მონტაჟი)					


არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა











4. მშენებლობის საინჟინრო მომზადება და მშენებლობის წარმართვის ცალკეული ეტაპები

4.1. ჩვენს მიერ შედგენილი მოპი ითვალისწინებს СНиП 3.01-01-85 “სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია” მოთხოვნილებებს მშენებლობაზე.

4.2. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:

- დავალება პროქტირებაზე; ქ.თბილისის აქტიტექტურის სამსახური (გადაწყ. N6342645)
- პროექტით მიღებული კონსტრუქციული გადაწყვეტილებები; (კონსტრუქციული შეფასებები და საექსპერტო დასკვები)
- მშენებლობის რაიონის სიტუაციური გეგმა
- გეოდეზური გეგმები და პროფილები
- საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების მონაცემები; (გეოლოგიური საექსპერტო შეფასებები)
- სამშენებლო მოედნის დათვალიერება

4.3. მშენებლობის ორგანიზაციის პროქტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად.

4.4. მიიღებს თუ არა დამკვეთისაგან დამტკიცებულ საპროექტო დოკუმენტაციას სამშენებლო ორგანიზაცია საჭიროების შემთხვევაში ამუშაევებს სამუშაოთა წარმოების პროექტს. ამ პროექტის შედგენა უნდა ხდებოდეს მშენებლობის ორგანიზაციის პროქტში მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისობით.

4.5. სამუშაოთა დაწყება დაიშვება საპროქტო დოკუმენტაციის საფუძველზე ქალაქის მერიის სამსახურიდან სათანადო ნებართვის აღების შემდეგ. А სამშენებლო მოედანი უნდა იყოს შემოღობილი მშენებლობის მთელ პროცესში.

4.6. სამშენებლო წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მშენებლობის წარმართვა, ცხრილში ჩამოთვლილი მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარებით. ბეტონის მიწოდებისთვის უნდა გამოვიყენოთ მიქსერები და ბეტონდამჭიხნი. სამუშაოები უნდა შესრულდეს СНиП III-15-80-ით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული დაცვით.

4.7. გეოდეზური-და კვალვითი სამუშაოები სრულდება СНиП 3.01-01-85 “გეოდეზური სამუშაოები მშენებლობაში” მოთხოვნათა გათვალისწინებით.

4.8. მშენებლობა ხორციელდება საავტორო და ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ. დახურული სამუშაობის მიღება ავტორების კონტროლის ქვეშ დადგენილი წესით აუცილებელია.

”

5. მშენებლობის წარმოების წესები და მეთოდები

5. 1. მშენებლობის ორგანიზაცია და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმართვა უნდა მოხდეს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად.

5.2. ქვემოთ ჩამოთვლილია მომქმედი ნორმები და წესები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს სამშენებლო ფირმამ, სამშენებლო – სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს;

- *СНиП 111-17-78 "ქვის კონსტრუქციები";*
- *СНиП 111-18-79 "ლითონის კონსტრუქციები";*
- *СНиП 111-19-81 "ხის კონსტრუქციები";*
- *СНиП 111-20-74 "ბურულები, ჰიდროიზოლაცია; ორთქლიზაცია და თბოიზოლაცია";*
- *СНиП 111-21-79 "სამსენებლო კონსტრუქციების მოსაპირკეთებელი სამუშაოები";*
- *СНиП 111-3-14-78 "იატაკები";*
- *СНиП 3.04.03-85 "კოროზიისგან დაცვა";*
- *СНиП 111-28-79 "შენობებისა და ნაგებობების სანიტარულ-ტექნიკური მოწყობა";*
- *СНиП 111-29-79 "გაზით მომარაგება, შიდა მოწყობილობა, გარე ქსელები და ნაგებობები";*
- *СНиП 111-20-79 "წყალმომარაგება, კანალიზაცია და თბო-მომარაგება; გარე ქსელები და ნაგებობები";*
- *СНиП 111-33-79 "ელექტროსამონტაჟო სამუშაოები"'*
- *СНиП წ 111-10-79 "ტერიტორიის კეთილმოწყობა"'*
- *СНиП წ 111-10-78 "უსაფრთხოების ტექნიკაში"'*
- *სახანძრო უსაფრთხოების წესები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს;*
- *СНиП 1.06.05-85 "მშენებლობისადმი საპროექტო ორგანიზაციების მიერ საავტორო ზედამხედველო.*
- *ინსტრუქცია "სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხის შეფასების შესახებ";*
- *ინსტრუქცია "მშენებლობით დამთავრებული ობიექტების ექსპლოატაციაში მიღება.*

5.3. აგრეთვე საჭიროა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული შემდეგი კანონებით ხელმძღვანელობაც:

- გარემოს დაცვის თაობაზე,
- წყლის გამოყენების შესახებ
- მავნე ქიმიური ელემენტები, მათი კლასიფიკაცია და უსაფრთხოება

გარემოს დაცვის შესახებ კანონი განსზაღვრავს ჰაერის დაბინძურების, წყლის დაბინძურების, წყლის აღებისა და დაშვების, ნახაზების უტილიზაციის, ხმაურისა და სხვათა შესახებ საკითხებს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულების პროცესში.

ასევე კანონით წყლის შესახებ განსაზღვრულია ზედაპირული, მიწისქვეშა და სანაპირი წყლების აღება და ჩაშვების ლიცენციებთან დაკავშირებული საკითხები.
კანონი ატმოსფერული ჰაერის შესახებ ითვალისწინებს ჰაერის კონტროლისა და დაბინძურების შეზღუდვის მეთოდებს, ჰაერის ხარისხიანობის სტანდარტებს და განსაზვრავს დასაშვებ ზღვრებს სამშენებლო საქმიანობის პირობებში.

მავნე ქიმიური ელემენტების შესახებ კანონი მოიცავს მავნე ნივთიერებათა კლასიფიკაციას და მათ უსაფრთხო მოხმარების საკითხებს. მაგალითად საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა აუცილებელია სპეციალური ბუნკერებით, ხოლო სამშენებლო ნაგვისა დამოკიდებულია სამშენებლო სამუშაობის მტვერშემცველობაზე. თუ სამშენებლო ნაგავი მტვერის გაბნევის საშიშროებას მოიცავს თვითმცლელ მანქანებზე დაყრის შემდეგ მას აუცილებელია გადაეფაროს სახურავი ბრეზენტისაგან ან მყარი მასალისაგან.

6. ინსტრუმენტალური კონტროლი

6.1. გეოდეზური კონტროლის დროს მოწმდება შენობის ელეენტებისა და ცალკეული კონსტრუქციების შესაბამისობა პროექტთან მათი მოწყობის პროცესში.

6.2. თავდაპირველად ამაგრებენ დაკვალვის გარე ქსელს სამშენებლო მოდანზე ნახაზზე მიღებული ღერძების გადატანით ნატურაში. სანიველიორო და დგმითი დაკვალვის წერტილები უნდა იყოს გაერთიანებული.
ელემენტებისა და კონსტრუქციების გეგმური და მაღლივი მდგომარეობა, მათი ვერტიკალურობა, ჩასატანებელი დეტალების დაყენების სიზუსტე მოწმდება შენობის შიდა დაკვალვის ნიშნულებიდან, ხოლო საინჟინრო კომუნიკაციებისა – გარე დაკვალვის ქსელის ან რეპერების მყარი წერტილებიდან.

7. მიწის სამუშაოები და საძირკვლები

7.1. მოედნების და შენობების ღერძული დაკვალვა და მისი მიბმა რეეპერებთან, სრულდება საავტორო ზედამხედველის და თბილისის არქიტექტურულ- დაგეგმარებითი სამსახურის სპეციალისტთა მონაწილებით. შედეგად ფორმდება შესაბამისი აქტი.

7.2. მიწის სამუშაობის შესრულების დროს უნდა იყოს ინსტრუმენტალური კონტროლი. გრუნტის ბუნებრივი სტრუქტურის დარღვევა სასურველი არ არის.
7.3. მიწის ამოღება-გატანა უნდა ვაწარმოოთ მექანიზებული წესით (ექსკავატორებითა და ავტოთვითმცვლელებით) ზედმეტი გრუნტის გატანა სვლა-გეზი უნდა შეთანხმდეს საგზაო პატრულთან.
7.5. ცალკეული სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა შესრულება აუცილებელია საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობითა და მომქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით.

7.6. ცალკეულ სამუშაოებზე მათი შესრულების მეთოდებისა და წესების სესახებ, აგრეთვე შრომის უსაფრთხოების წესების თაობაზე დოკუმენტები ქართულ ენაზე თავმოყრილია მშენენებლობის სამინისტროს მიეტ 1986 წელს გამოცემული კრებულ-სამახსოვროში “სამშენებლო წარმების წესები და ნორმები. “

8. მითითებები მიწისზედა სამუშაოთა წარმოებაზე

8.1. სამუშაოები აუცილებელია წარიმართოს ინსტრუმენტალური კონტროლისა და საავტორო ზედამხედველობის ქვეშ შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების სრული დაცვით.

8.2. შენებლობის ვადებისა და მშენებლობის გრაფიკის შესაბამისად, მოპირკეთების და სხვა სამუშაოები უნდა შესრულდეს ძირითადი კარკასის მოწყობის პარალელურად. პარალელურად უნდა წარიმართოს სანტექნიკური და ელექტროტექნიკური სამუშაობიც.

8.3. ობიექტი ვერ ჩაბარდება ექსპლოატაციაში შენობის სრული დამთავრებისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა - გამწვანების გარეშე.

8.4. ფასადების შელესვა-მოპირკეთება მოხდება მიდგმულ-ვერტიკალური ხარაჩოების საშუალებით.

8.5. ცალკეული სამშნებლო და სამონტაჟო სამუშაოთა შესრულება აუცილებელია საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობითა და მომქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით.

9. რეკომენდირებული სამშენებლო მანქანა-დანადგარები, მექანიზმები და ინსტრუმენტები

9.1. მშენებლობის ნორმების უწტყვეტი რიტმისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით:

- ექსკავატორი
- ავტოამწეები
- კალათა
- ხელის
- ელექტროხერხები და რკინის ელექტროსაჭრელები,
- აირ და ელექტროშედუღების აპარატები. დრელიები და პერფორატორები, ნიველირი

9.2. რეკომენდირებული მანქანა-დანადგარები და ინსტრუმენტ-მოწყობილობები შესაძლოა შეიცვალოს ანალგიურით ან უფრო თანამედროვეთი

10. მშენებლობაზე შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვა

მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე უნდა იყოს დაცული თანახმად СНиП 111-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მსენებლობაში" და სხვა ნორმატიულ- საკანმდებლო დოკუმენტების მითითების შესაბამისად. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე:

10.1. სამუშაო ადგილები, მუშაობს პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით

10.2. ზედმეტი გრუნტისა და ნაგვის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე უნდა წარმოებდეს გვერდიდან ან უკანა მხრიდან.

10.3. მშენებლობაში საჭიროა სერტიფიცირებული მასალების ან ნაკეთობების გამოყენება მათი ტოქსიკურობის გათვალისწინებით დაშვებულ ნორმებში.

10.4. ადვილად აალებადი სამღებრო, საიზოლაციო და სხვა მასალების, აგრეთვე მომწამლავი ნივთიერების დღიური რაოდენობა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს დღიურ ნორმებს.

10.5. საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას, პარკეტზე ლაქის წასმისას და ზოგიერთ სხვა სამუშაშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებსა და თავსაბურავებს.

10.6. საყალიბო ქარგილები დაყენების შემდეგ მოწმდება საიმედოობაზე მათში ბეტონის ჩასხმამდე. ასევე მოწმდება ბადიის საიმედოობაც და წესრიგიანობას სამაგრების თვითგახსნა რომ არ მოხდეს.

10.7. მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური მოთხოვნილებების პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურებაც არ მოხდეს.

10.8. ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია საქ. სტანდარტში

შპს. „ზაჰა"
ს/კ 405502861
მისამართი: ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის N12
ტელ.: 555051111
E-mail: info@zaha.ge
www.zaha.ge

LTD "ZAHA"
I/D 405502861
Address: 12 ,M.Aleksidze st. Tbilisi
Mob: 555051111
E-mail: info@zaha.ge
www.zaha.ge

11.9 ელექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

10.10. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილად გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე. სამუშაოს Dშესრულების შემდეგ ვიბრატორი სუფთავდება და მშრალად იწმინდება.

10.11. მობილური ამწეების; ბეტონდამჭიხნი დანადგარების (“პოპმა”); ელექტროსაწეველას და სხვა მანქანა მექანიზმების მუშაობის პერიოდში მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე და მის სიახლოვეს სახიფათო ზონაში დაუშვებელია. Aმწის მუშაობის დროს მოშორებით დგება მესიგნალე და აწესრიგებს როგორც ფეხმავალთა, ასევე ავტოტრანსპორტის მოძრაობას.

10.12. სამუშაოთა უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მშენებლობის აღჭურვა ცხილში ჩამოთვლილი მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარ-სამარჯვებ

11. ეკოლოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები

11.1. მშენებლობის პროცესში აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები მიმდინარე ტერიტორიის დამტვერიანების თავიდან ასაცილებლად.

11.2. საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულების პერიოდში ფასადებს საჭიროა ჩამოეფაროს ფარდა, რათა ამ სემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა სელიტებულ ზონაში.

11.3 დაუშვებელია არსებულ საკანალიზაციო ჭებში ბეტონ და ხსნარმილსადენების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

11.4. ასევე არსებული საკანალიზაციო ქსელის პირობებში მიზანშეწონილად ვერ ჩაითვლება დროებითი ტუალეტის მოწყობა ამოსახაპ ორმოზე. მათი დროებითი ჩართვაც სასურველია საკანალიზაციო კოლექტორში.

შპს. „ზაჰა“
ს/კ 405502861
მისამართი: ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის N12
ტელ.: 555051111
E-mail: info@zaha.ge
www.zaha.ge

LTD “ZAHA”
I/D 405502861
Address: 12 ,M.Aleksidze st. Tbilisi
Mob: 555051111
E-mail: info@zaha.ge
www.zaha.ge

11.5. გარემოს დაცვის სამსახურიდან ნებართვის გარეშე მშენებლობის ზონაში იკრძალება მრავალწლიანი ხეების და ნარგავების მოჭრა-განადგურება.

11.6. ზემოთ მითითებული დებულებებიდან გამომდინარე მშენებლობა უნდა განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით მომქმედი საკანონმდებლო აქტებისა და ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისობით.

12. მოპ-ის შედგენისთვის ნორმატიული ბაზა


12.1 СНиП 3. 01.01-85 "სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია"
12.2 СНиП 1.04.03-85 "მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები საცხოვრებელი სახლები მშენებლობაზე".
12.3 მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შედგენის ეტალონი სამხრეთის მთიანი რაიონებისათვის.
12.4. საკრებული-სამახსოვრო "სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები, "ამონაკრები მემქმედი სამშენებლო ნორმებიდან და წესებიდან"
12.5 СНиП III-4-80 "უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაზე".

შპს „ზაჰას"-ის ტექნიკური დირექტორი: / ვ. გიგაური /

შეადგინა: / ნ. გელენიძე /

სამუშაოთა წარმოების გრაფიკი

| N | | I თვე | | | | | 2 თვე | | | | | 3 თვე | | | | | 4 თვე | | | | | 5 თვე | | | | | 6 თვე | | | | | 7 თვე | | | | | 8 თვე | | | | | 9 თვე | | | | | 10 თვე | | | | | 11 თვე | | | | | 12 თვე | | | | |
|---|---|---



პირობითი აღნიშვნები

- სავალი ნაწილი (ა/ბ)
- ტროტუარი
- ბაზონი
- ბორდური (15*30)
- ბორდური (10*20) ჩაშლული ბაზონის დონეზე
- 25/55 ძანობი პრომილებში 1%=10‰
- მანძილი მ.
- 1195,00 წითელი ნიშნული მ.
- .1201.15 შავი ნიშნული მ.
- 1150.00 წითელი ჰორიზონტალი (20 სმ)

პირობითი აღნიშვნა

- წითელი ხაზები;
- გამოყოფილი ტერიტორიის საზღვრები;
- სამშენებლო მოედნის შემოღობვა (გადმოხურვის გარეშე)
- სამშენებლო მოედნის შემოღობვა
- სამშენებლო მოედნის შემოღობვის ბადით;
- გზის დროებითი გადასასვლელი;
- დროებითი შენობები და ნაგებობები;

- მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად.
- მიიღებს თუ არა დამკვეთისაგან დამტკიცებულ საპროექტო დოკუმენტაციას სამშენებლო ორგანიზაცია საჭიროების შემთხვევაში ამუშავებს სამუშაოთა წარმოების პროექტს. ამ პროექტის შედგენა უნდა ხდებოდეს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისობით.
- სამუშაოთა დაწყება დაიშვება საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე ქალაქის მერიის სამსახურიდან სათანადო ნებართვის აღების შემდეგ. სამშენებლო მოედანი უნდა იყოს შემოღობილი მშენებლობის მთელ პროცესში.
- სამშენებლო წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მშენებლობის წარმართვა, ცხრილში ჩამოთვლილი მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარებით. ბეტონის მიწოდებისთვის უნდა გამოვიყენოთ მიქსერები და ბეტონდამჭიხნი. სამუშაოები უნდა შესრულდეს СНиП III-15-80-ით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული დაცვით.
- გეოდეზიურ-და კვალვითი სამუშაოები სრულდება СНиП 3.01-01-85 “გეოდეზიური სამუშაოები მშენებლობაში” მოთხოვნათა გათვალისწინებით.
- მშენებლობა ხორციელდება საავტორო და ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ. დახურული სამუშაობის მიღება ავტორების კონტროლის ქვეშ დადგენილი წესით აუცილებელია.